ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2021 – 2022 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ!

მოგესალმებით ჩემო თანაქალაქელებო, საკრებულოს წევრებო, მოწვეულო სტუმრებო, ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2021 წლის ნოემბრიდან - 2022 წლის დეკემბრამდე გაწეული სამუშაოს ანგარიში

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია იყენებს ყველა რესურსს და შესაძლებლობას, საზოგადოებას ჰქონდეს ინფორმაცია თვითმმართველობის საჯაროობის, მის მიერ განხორციელებული სამუშაოების, პროექტებისა და პროგრამების შესახებ, რომელსაც ახორციელებს მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის, ინფრასტრუქტურული, სოციალური, ეკონომიკური, კულტურულ - შემეცნებითი თუ საგანმანათლებლო მიმართულებით. ამ თვალსაზრისით, მერია აქტიურად თანამშრომლობს მედია და არასამთავრობო სექტორთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან.

მოქალაქეთა ჩართულობის თვალსაზრისით მერიაში არსებობს „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო“, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო“. მათში ჩართულნი არიან საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ ბიუჯეტის განხილვისა და დაგეგმვის პროცესში.

მუნიციპალიტეტი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით, გეგმავს პრიორიტეტებს. მერიის საქმიანობა შესაბამისობაშია მოსახლეობის მოთხოვნებსა და ინტერესებთან.

ზესტაფონის მერია ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებს რეაგირებას მოქალაქეთა მომართვებზე. ზესტაფონის მერიაში 2022 წელს შემოსულია 13 281 კორესპოდენცია და განცხადება, რომელთა უმრავლესობა დაკმაყოფილებული ან რეაგირებულია. რიგ კორესპოდენციებზე მინდინარეობს საქმის წარმოება. მოსახლეობასთან კომუნიკაციის გასამარტივებლად ეფექტური საშუალებაა, მერიის ფეისბუქ გვერდი, მერიის ელექტრონული ფოსტა და ვებ გვერდი. მერიის ფეისბუქ გვერდის მზარდი სტატისტიკა მოსახლეობის ჩართულობაზე მიუთითებს.

მუნიციპალიტეტის მერია აერთიანებს მერიის 9 სამსახურს და 11 ა (ა) იპ - ის. წარმოგიდგენთ;

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიაში შემავალი სამსახურების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშს.

2022 წელი გამორჩეული იყო მუნიციპალიტეტისთვის, როგორც სოციალური, ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული, კულტურულ - საგანმანათლებლო თუ სპორტული მიღწევების თვალსაზრისით.

2022 წელ ზესტაფონის მუნიციპალიტეტსა და ევროპის საბჭოს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი პროექტის - „მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში“ . პროექტი მოქალაქეების აქტიურად ჩართვას ითვალისწინებს ადგილობრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ადგილობრივ გამოწვევებსა და მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებული ახალი სტრატეგიების, ინოვაციური პრაქტიკისა და ინსტრუმენტების შემუშავებას.

მიმდინარე წელს, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესს შორის, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის უფლებების ინტეგრირების საშუალებით, ხელშეწყობილ იქნას უფრო ღია, ინკლუზიურ, მოქალაქეებზე ორიენტირებულ და გენდერულად მგრძნობიარე ადგილობრივ მმართველობას.

მიმდინარე წელს ინოვაციური სოციალური პროექტი განხორციელდა მუნიციპალიტეტში. ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრ „ორიონსა“ და ქ. ტჩევის საგანმანათლებლო ცენტრს შორის ერთობლივი მემორანდუმის ფარგლებში, ზესტაფონის ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრში სოციალური პროექტი „საუკეთესო სტარტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა განვითარების ადრეული მხარდაჭერა“ განხორციელდა!

პროექტი პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დახმარებისა და განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა. ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრში „ორიონი“ მოეწყო თერაპიული ოთახები სრული აღჭურვილობით 0 -დან 7 წლამდე ბავშვებისთვის. ოთახების რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტის მერიამ დააფინანსა.
პროექტი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის, არამედ იმერეთის რეგიონისთვის. პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ზესტაფონის მერიის მხარდაჭერით, „ორიონში“ 8 თერაპიული კაპინეტი მოეწყო, რომელიც სრულად არის ადაპტირებული შშმ ბავშვებისთვის.

მუნიციპალიტეტის მერია წლის განმავლობაში არაერთი სოციალური პროექტის ავტორი და ინიციატორი გახლდათ. მერია აქტიურად თანამშრომლობს „წითელი ჯვრის“ საზოგადოებასთან. ერთობლივი თანამშრომლობის ფარგლებში, ყოველთვიურად ხდება სხვადასხვა სოციალური სტატუსის მქონე ოჯახთა დახმარება, როგორც საკვები პროდუქტებით, ასევე ჰიგიენური საშუალებებით. სოციალური პროგრამის ფარგლებში მერია დახმარებას უწევს საშეშე მერქნით, სოციალურად დაუცველ ოჯახებს.

მერიამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში გარკვეული სახის დახმატრება გაუწია ზესტაფონის რაიონულ უსინათლოთა კავშირს, ასევე ადგილობრივ ვეტერანთა ორგანიზაციას. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიამ, თავისი წვლილი შეიტანა

უკრაინის დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად. განხორციელდა ჰუმანიტარული აქცია. ჰუმანიტარული აქციის ფარგლებში არამალფუჭებადი საკვები პროდუქტები, ჰიგიენის საშუალებები, მედიკამენტები, ტკბილეული და ტანსაცმელი შეგროვდა. აქციაში საჯარო მოხელეებთან ერთად, კერძო სექტორი, მოქალაქეები და საგანმანათლებლო დაწესებულებები ჩაერთნენ. ჰუმანიტარული აქციისთვის მუნიციპალიტეტის მერიის სარეზერვო ფონდიდანაც გამოიყო თანხა. ჰუმანიტარული ტვირთის გაგზავნა მუნიციპალიტეტის მერიამ ორჯერ უზრუნველყო.

ზესტაფონის მერიამ უმასპინძლა, უკრაინაში საომარი მოქმედებისას დაზარალებული ოჯახებიდან საქართველოში სტუმრად მყოფ ბავშვებს და მათ მშობლებს. შეხვედრის მიმდინარეობისას სტუმრებს სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ საქართველოს თემატიკით.

მიმდინარე წელს, მერიის და საკრებულოს ოფიციალური დელეგაცია, მიწვეული გახლდათ ლიეტვის დამეგობრებულ ქალაქ ტაურაგეში. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა ოფიციალური შეხვედრები ტაურაგეს მერთან და მუნნიციპალიტეტის სხვა პასუხისმგებელ პირებთან. მხარეებმა დასახეს სამომავლო გზები ორ ქალაქს შორის ეკონომიკის, სოციალური, კულტურის და სპორტის ხელშეწყობისა და მომავალი განვითარების მიმართულებით.

2022 წელს ზესტაფონის მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა დამეგობრებული ქალაქების : ლიეტვა (ტაურაგე) და ისრაელი (კირიათ - ბიალიკი) ოფიციალურ დელეგაციებს. მათ მონაწილეობა მიიღეს ზესტაფონქალაქობის 150 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებში.

ინფრასტრუქტურა

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს 250 - ზე მეტი სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა

რეგიონული განვითარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა:

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, როგორც ქალაქის, ასევე სოფლის გზებზე, სანიაღვრე არხების მოწყობა, სპორტული მოედნებისა და სკვერების რეაბილიტაცია, მრავალსართულიანი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობა. მიმდინარე წელს დაიგო 25 კმ - ზე მეტი სიგრძის გზა მუნიციპალიტეტში.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიცირებული პროგრამის "განახლებული რეგიონების" ფარგლებში, ზესტაფონში, ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე არსებული შენობების

რეაბილიტაცია მიმდინარეობს. ქალაქის ცენტრალურ მაგისტრალზე არსებული შენობების რეაბილიტაცია, მსგავსი მასშტაბით, ათეული წლების შემდეგ მუნიციპალიტეტში პირველად ხორციელდება. ინფრასტრუქტურული პროექტი ქალაქის ურბანულ განახლებას ითვალისწინებს. პროგრამის ფარგლებში ცენტრალურ მაგისტრალზე არსებული მრავალსართულიანი კორპუსების ფასადები სრულიად განახლდება. პროექტის ფარგლებში ორი სკვერის, ვარინკა მაჭავარიანი - წერეთლის და აღმაშენებლის ქუჩაზე არსებული სკვერების მოწყობის სამუშაოები დასრულდა. (პროექტის ღირებულება 20 მილიონ ლარს აღემატება)

მიმდინარე წელს დავიწყეთ ქალაქის ცენტრალური პარკის კეთილმოწყობა. (ღირებულება 1026000) საქართველოს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, ზესტაფონში კულტურისა და დასვენების პარკის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს.
პროექტის ფარგლებში, კულტურისა და დასვენების პარკში არსებული ფილები, თანამედროვე ქვაფენილით შეიცვლება, მოეწყობა ახალი ბორდიურები. განახლდება განათების სისტემა. დამონტაჟდება ახალი, თანამედროვე ტიპის ლამპიონები. ძველი სკამების ნაცვლად განთავსდება დეკორატიული სკამები. განახლდება, სანაგვე ურნები.
სრულად დაიტვირთება პარკში არსებული აუთვისებელი ტერიტორიები. მოეწყობა კომბინირებული მინი სტადიონი ჩოგბურთის და სკეიტბორდის მოედნები.

მუნიციპალიტეტში ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით, სამცვერას ჩანჩქერამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია განვახორციელეთ.
პროექტი რეგიონული განვითარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა და მისი ღირებულება 394 700 ლარს შეადგენს.
ჩანჩქერამდე მისასვლელი გზის მოწყობა ტურისტული ობიექტის პოპულარიზაციას და ხელმისაწვდომობას მაქსიმალურად გაზრდის.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ზესტაფონში, სოფელ ცხრაწყაროში ვარინკა მაჭავარიანი - წერეთლის სახელობის მშენებლობა - რეაბილიტაცია დასრულდა. (ღირებულება 1040000)
რეაბილიტაციის ფარგლებში განხორციელდა, როგორც სცენის, ასევე არსებული სამაყურებლო სივრცის მოცულობის გაზრდა და გადახურვა. სცენასთან გასახდელების და საკვანძეების მოწყობა. ეზოს კეთილმოწყობა და შემოღობვა.
თეატრონის ტერიტორიაზე მოეწყო დეკორატიული ბეტონის ბილიკები, განთავსდა ეზოს სკამები. დამონტაჟდა მაღალი და დაბალი განათების ბოძები.
ზესტაფონში 80 - იანი წლებიდან იმართება ხალხური და ლირიული სიმღერების ფესტივალი "სულიკო" განახლებული თეატრონი იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ ფესტივალის მასშტაბები გაიზარდოს და ის რესპუბლიკური მნიშვნელობის გახდეს.

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ზესტაფონში 4 საჯარო სკოლის

სრული რეაბილიტაცია განხორციელდა! რეაბილიტაცია ჩაუტარდა დაბა შორაპანის, მეორე სვირის, ქვედა საზანოს და ცხრაწყაროს საჯარო სკოლებს.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 146 მცირე ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება.

20 22 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა:

კვალითის დასახლებაში კაშხლიდან - ხოხოულას დასახლებისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია - 430 121,00 ლარი

სოფელ კლდეეთი - ტაბაკინის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 118 750,00 ლარი

სოფელ კვალითში მე - 4 ჩიხის რეაბილიტაცია - 170 755,85 ლარი

სოფელ წიფლავაკის სასოფლო გზის რეაბილიტაცია - 227 487,00 ლარი

სოფელ ფუთში, ჩიტორელიძეების უბნის გზის რეაბილიტაცია - 354 448,00 ლარი

სოფელ ზედა საქარაში, ჩხეიძე - ცერცვაძეების სასოფლო გზის რეაბილიტაცია - 294 244,00 ლარი

სოფელ სასახლეში კობახიძე, ჯაფარიძე, აბაშიძეების გზის რეაბილიტაცია - 48 858,00 ლარი

სოფელ ალავერდში, საუბნო გზა

სოფელ დილიკაურში, ქვაგატეხილის გზის რეაბილიტაცია

2023 წლის პროექტები

სოფელ ბოსლევში (კახნიაშვილების საუბნო) გზის რეაბილიტაცია - 332 500,00 ლარი

სოფელ ტაბაკინის (შათირიშვილის გზის) გზის რეაბილიტაცია - 716 401,00 ლარი

სოფელ ქვედა საქარაში (სასაფლაომდე მისასვლელი) გზის რეაბილიტაცია - 431 283, 00 ლარი

სოფელ არგვეთაში (გაფრინდაშვილების საუბნო) გზის რეაბილიტაცია - 371 094,00 ლარი

ქვედა საქარაში (გურულების უბანი) გზის რეაბილიტაცია - 371 094,00 ლარი

სოფელ ქვედა საქარის და არგვეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 852 698,00 ლარი

კვალითის დასახლებაში, მელქაძის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია - 214 809,00 ლარი

დ. აღმაშენებლის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია - 124 562,00 ლარი

მეორე სვირის (ჯიკვათირის საუბნო) გზის - 848 340, 00 ლარი

სოფელ ჭალატყეში, მონასტრისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია - 494 482, 00 ლარი

სოფელ როდინაულში (ოსაძეების უბნის) გზის რეაბილიტაცია - 282 193,00 ლარი

სოფელ ძირულაში, რკინიგზის სადგურამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 786 157, 00 ლარი

2023 ზესტაფონში 2 საბავშვო ბაღის მშენებლობა იგეგმება

სოფელ ძირულის საბავშვო ბაღი - 1 864 886, 00 ლარი

სოფელ საზანოს საბავშვო ბაღი - 1 844 970,00 ლარი

სოციალური სამსახური

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოციალური დაცვის სამსახურის ძირითადი ფუნქციებია: ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და დასაქმების მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელება; ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უზუნველყოფისათვის შესაბამისი პროგრამების შემუშავება და განხორციელება, უსახლკაროთა რეგისტრაცია და მათი თავშესაფრით უზრუნველყოფა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ბავშვებისა და მოხუცების საზოგადოებასთან ადაპტირებისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

სოციალური პროგრამები 2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2 202 409.18 ლარით დაფინანსდა.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურის 2022 წლის პროგრამები 12 დეკემბრის მდგომარეობით.

#	პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გამოყოფილი თანხა	გახარჯული თანხა	რესურსი	რამდენი მოქალაქე დაკმაყოფილდა
1.	06 02 01	**მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების ფინ.დახმარება**		***789436.20***		***3 690***
		1. ლეიკემიით, ჰემოფილიით და ჰომოზიგოტური B თალასემიით დაავადებული ბენეფიციარები		13 800		23
		2. შ.შ.მ სტატუსის მქონე ბენეფიციარები-ცერებრალური		46 500		93
		3.შ.შ.მ სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები		18 400		58
		4. მარტოხელა დედა (18 წლამდე ასაკის ბავშვები)		7 600		38
		5. მრავალშვილიანი ოჯახები (18 წლამდე 4 და მეტი შვილი		114 500		229
		6. ლაბორატორიულ დიაგნოსტიკური კვლევა		197036.20		1061
		7. რადიოაქტიური იოდით მკურნალობა		3500		7
		8. ონკოლოგიური ავადმყოფების მკურნალობა		94 800		474
		9. ოფთალმოლოგიური დაავადების მქონე პაციენტებისათვის ავასტინის ინექციის დაფინანსება		9 000		30
		10.განსაკუთრებულ შემთხვევებში ზესტ.მუნ.ტერ.რეგისტრირებულ და მცხოვრებ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებზე დახმარება		240050		1552
		11.ქვეპროგრამა: ,,გადაუდებელი საჭიროების" პროგრამა.		2532.40		15
		12.ქვეპროგრამა: ,,სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საშეშე მერქნით დახმარება“		38 850		96
		13. ქვეპროგრამა: სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების ტრანსპორტით უზრუნველყოფა სამედიცინო დაწესებულებამდე რომლებიც ატარებენ პჯრ ან სწრაფი ანტიგენით ტესტირებას		1708,56		0
		14.ქვეპროგრამა: ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა		4245		11
		15.ქვეპროგრამა: კოვიდ ინფიცირებულთა დახმარება		600		3
2	06 02 02	**უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა (ეპილეფსია პარკინსონი)**	**40401.65**	**21 033.34**		**80 მდე**
3	06 02 03	**თირკმლის უკმარისობით დაავადებულთა დახმარება**	**101 550.0**	**101 380**		**54**
4	06 02 04	**სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოქალაქეებისათვის "უფასო სადილი" თ უზრუნველყოფა**	**104 300**	**95 070.22**		**105**
5	06 02 05	**ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (ახალშობილები)**	**45 000**	**39 500**		**159**

		ახალშობილები		38500		154
		ა) ქვეპროგრამა ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება		0		0
		ბ) ქვეპროგრამა ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვა		1000		5
6	06 02 06	სტიქიით დაზარალებული ოჯახების ფულადი დახმარება	32 000,00	32 000		16
7	06 02 07	სარიტუალო გარდაცვლილთა ოჯახების ფ/დ	9 000,00	6 800		34
			3 000	2 050		10
8	06 02 08	სადღესასწაულო დახმარება	86 598	29 327.80		300
		ა)ფულადი ფორმით		13000		32
		ბ)მატერიალური ფორმა		16327		219
9	06 02 09	მარჩენალდაკარგულების ფ/დ	7 000,00	5 800		58
10	06 02 10	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მხედველობით მკვეთრი და მნიშვნელოვანი სტატუსის მქონე ბენეფიციარებზე ყოველთვიური ფინანსური დახმარება	145 900,00	145 470		262
11	06 02 11	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ომის მონაწილეების და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ბრძოლის მონაწილეების ფ/დ	38 000,00	32 100		321
12	06 02 12	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	500 000	500 000		176
13	06 02 13	ფენილკეტონურიით დაავადებული ბავშვების ფ/დ	33 350,00	32 850		19
14	06 02 14	სამედიცინო მომსახურეობის ფ/დ	380 000,00	364 744.66		775
2 369 + 3 690 = 6 059 ბენეფიციარზე თანხა 2 202 409.18						
15	06 03	ინტეგრირებული საქმიანობის დღის ცენტრი (წითელი ჯვარი)	30 000	26 275.04		

ბავშვთა უფლებებისა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიაში 2020 წლიდან შეიქმნა ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება, რომელიც ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერის და გაძლიერების ითვალისწინებს.

2021 წელს შეიქმნა პროგრამა „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი/ბავშვებიანი ოჯახების დახმარება“ და განყოფილება დღემდე მუშაობს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში.

მიმდინარე წლის განმავლობაში მოხდა 14 ბენეფიციარის ოჯახის მატერიალური სახის დახმარება ოჯახის საჭიროებებიდან გამომდინარე, მათი გაძლიერების კუთხით.

ოჯახები:

1.ნატალია კაპანაძე- შეიძინა ტყავის მასალა ხელსაქმისთვის 1000 ლარის.

2. ირინა მოდებაძე- შეიძინა თმის მოვლის ინვენტარი შემდგომი სამეწარმეო საქმიანობისთვის 1000 ლარის.

3. სუზანა ქოჩიაშვილი- შეიძინა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი 1000 ლარის.

4. მურმანი ლომინაშვილი- შეიძინა ჩირის აპარატი, ელექტრო საწამლი მანქანა 285 ლარის.

5. კლავდია ჩინჩალაძე -შეიძინა საკერავი მანქანა, სხვადასხვა სახის საკერავი ძაფები 1000 ლარის.

6. რუსუდან ნიკაჭაძე -შეიძინა კურდღლები, კურდღლის მავთულბადე, კურდღლის საკვები 500 ლარის.

7. ოთარი ნატრიაშვილი- შეიძინა ორი ცხვარი და ბავშვის სხვადასხვა განმავითარებელი წიგნები და ნივთები 660 ლარის.

8. თინათინ კალანდაძე- შეიძინა სამუშაო იარაღები 500 ლარის.

9.სოფიო ჭანტურიძე- სამითვის განმავლობაში გადაეცემოდა 150-150 ლარის საკვები პროდუქტების პაკეტი და ჰიგიენური საშუალებები.

10.ელგუჯა ნიქაბაძე- ორი თვის განმავლობაში გადაეცემოდა 150-150 ლარის საკვები პროდუქტების პაკეტი და მედიკამენტები.

11. მზექალა კიკნაძე- შეიძინა სამუშაო მასალები ხელსაქმისთვის 600 ლარის.

12.ირაკლი ჭანკოტაძე- შეიძინა საკერავი მასალა (ნაჭერი) 1000 ლარის.

წლის ბოლომდე იგეგმება ორი ბენეფიციარის დახმარება.

ქალთა ოთახი

2019 წლიდან, ზესტაფონის მერიაში მოქმედებს მუნიციპალური სერვისი - „ქალთა ოთახი“ ეს არის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, მუნიციპალიტეტის, მიერ შექმნილი ღია სივრცე, საინფორმაციო - საკონსულტაციო რესურსცენტრი, რომლის მიზანია დაეხმაროს ადგილობრივ მოსახლეობას, განსაკუთრებით კი სოფლად მცხოვრებ ქალებს, მუნიციპალიტეტთან ურთიერთობაში; გაზარდოს და წაახალისოს ქალთა თანამონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში (საკრებულოს, მუნიციპალიტეტის, სოფლის კრებებში მონაწილეობა

„ქალთა ოთახი“ უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე კარგი მმართველობის პრინციპების დანერგვას და მისი ქმედითუნარიანობისა და ეფექტურობის ზრდას.

„ქალთა ოთახის“ საშუალებით მუნიციპალიტეტი საკუთარ მოსახლეობას (განსაკუთრებით კი ქალებს და ბავშვებს) სთავაზობს როგორც საინფორმაციო - საკონსულტაციო მომსახურების გაწევას, ასევე თავისუფალ სივრცეს დასვენებისა და სოციალური აქტივობისთვის.

„ქალთა ოთახის“ ,როგორც სერვისის, მომხმარებლები არიან:

- ადგილობრივი მოსახლეობა (ქალები,მამაკაცები, ახალგაზრდები, ბავშვები);
- მუნიციპალიტეტის თანამშრომლები;
- არასამთავრობო ორგანიზაციები, ასოციაციები და ა.შ.
- კერძო სექტორი.

2022 წლის განმავლობაში ქალთა ოთახი მოემსახურა 178 ადამიანს, აქედან 9 მამაკაცს და 169 ქალს.

ქალთა ოთახის ორგანიზებით ჩატარდა რამდენიმე საინფორმაციო სახის შეხვედრა და ტრენინგი მიზნობრივ აუდიტორიასთან.

აქტიურად ეწეოდა საკონსულტაციო შეხვედრებს „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში მონაწილეობის მსურველ მოსახლეობასთან. კონკრეტულად კონსულტაცია გაეწია 14 ადამიანს და „ქალთა ოთახის“ მეშვეობით მომზადდა 5 საკონკურსო პროექტი.

ასევე ქალთა ოთახის ჩართულობით სამმა მოქალაქემ მიიღო გრანტი მცირე ბიზნესის განვითარებისთვის კომპანია BP-დან.

„ქალთა ოთახი“ იყო ორგანიზატორი პროექტ „აწარმოე საქართველოს“, საბანკო სექტორის და მეწარმეების საკონსულტციო შეხვედრის.

„ქალთა ოთახის“ პარტნიორ ორგანიზაციასთანშუამდგომლობით, ორსულ ქალბატონებს დაუფინასდათ ისეთი კვლევები, რომელსაც არ ითვალისწინებდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა. ასევე მატერიალური დახმარება გაეწიათ ჩვილ ბავშვთა მშობლებს.

„ქალთა ოთახი“ მუდმივად მხარს უჭერს მუნიციპალიტეტის სამეწარმეო სექტორს და განსაკუთრებით ქალბატონებს.

განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური

2022 წელს ზესტაფონში მასობრივი კულტურული, სახალხო, მუსიკალური თუ სპორტული ღონისძიებები ჩატარდა.

აღინიშნა „ზესტაფონქალაქობის“ 150 წლისთავი. ჩატარდა ტრადიციული ღვინის ფესტივალი, რომელიც იმერული ღვინოების პოპულარიზაციას ემსახურება. გამოვლინდნენ საუკეთესო ღვინის მწარმოებლები, რომლებსაც ფულადი ჯილდო გადაეცათ. მუნიციპალიტეტმა გამოავლინა „ზესტაფონის საპატიო მოქალაქეები“ და მოხდა მათი დაჯილდოება.

ზესტაფონმა უმასპინძლა ლირიული სიმღერების ფესტივალს „სულიკო“. ფესტივალი 80 - იანი წლების შემდეგ იმართება და ისეთი ჟანრების პოპულარიზაციას ითვალისწინებს,

როგორიცაა ქართული ხალხური სიმღერა, ლირიული და ქართველი კომპოზიტორების მიერ შექმნილი ქალაქური სიმღერები.

მოსწავლე - ახალგაზრდებში, განათლების მოტივაციის ამაღლებისა და ხელშეწყობის მიზნით, მუნიციპალიტეტის მერია სხვადასხვა პროექტს ახორციელებს. მათ შორისაა 100%-ანი გრანტის მქონე მოსწავლეების წახალისება ფულადი ჯილდოს სახით. მიმდინარე წელს ფულადი ჯილდოს სახით 1500 ლარი 22 მოსწავლეს გადაეცა.

გამორჩეული იყო 2022 წელი სპორტული მიღწევების თვალსაზრისით. საქართველოს სახელით ჩვენმა სპორტსმენებმა ღირსეულად იასპარეზეს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე.

ევროპის ჩემპიონატზე, ჭიდაობა ძიუდოში, ზესტაფონის სასპორტო სკოლის მოჭიდავემ, საქართველოს ნაკრების წევრმა, შალვა გურეშიძემ ოქროს მედალი მოიპოვა. ბრინჯაოს მედალი აიღო უჩა ტაბატაძემ, ხოლო ვეტერანთა შორის ჭიდაობა ძიუდოში მსოფლიო ჩემპიონი, ლევან ჩუბინიძე გახდა.

ევროპის ჩემპიონატზე, ჭიდაობა სამბოში, მეორე ადგილი დაიკავა მინდია ლილუაშვილმა. მათი მხრიდან ეს იყო ღირსეული გამოსვლა საქართველის სახელით და იმედი მაქვს კიდევ არაერთი გამარჯვების მოწმე გავხდებით.

მუნიციპალიტეტის მერიამ მსოფლიო და ევროპის პრიზიორებს სპორტის სხვადასხვა სახეობებში მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოების ცერემონია მოუწყო და ფულადი პრიზები გადასცა.

ზესტაფონის მერია ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარება - პოპულარიზაციისთვის სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოებს აქტიურად ახორციელებს.

მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებისთვის შექმნილია ახალგაზრდული საბჭო. ახალგაზრდები არაერთ პროექტსა თუ პროგრამაში არიან ჩართულები, მათ შორის სოციალურ პროექტებშიც.

ახალგაზრდული საბჭოს წევრებმა მონაწილეობა მიიღეს პროექტში - „ახალგაზრდები სოციალური ცვლილებებისთვის“ , რომელსაც გაეროს მოსახლეობის ფოდი ახორციელებს. პროექტის მიზანია გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და დისკრიმინაციული გენდერული ნორმების ცვლილება, ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდით სოციალური ცვლილებების პროცესში, მათ მიერ განხორციელებული ადგილობრივი ინიციატივების მეშვეობითა და თანასწორთა მობილიზების გზით. ინიციატივის მიზანია ახალგაზრდების განათლება, გაძლიერება და ჩართულობა სოციალური ცვლილებების განხორციელებაში.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში 16 - დან 24 წლამდე 23 - მა ახალგაზრდამ გაიარა ტრენინგი . ახალგაზრდებმა პროექტის ფარგლებში განახორციელეს მცირე ინიციატივები თავიანთ ადგილობრივ თემში.

ზესტაფონის მერიის ახალგაზრდული საბჭოს წევრები გაეროს ბავშვთა ფონდის, აშშ - ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და მუნიციპალიტეტთან პარტნიორობით არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰელფინგ ჰენდი“ მიერ განხორციელებულ პროექტში „მოზარდი მოხალისეების ჩართულობა კოვიდ - 19 პანდემიის გამოწვევების საპასუხოდ საქართველოში“ ღებულობდნენ მონაწილეობას.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი პროექტ „მოზარდი მოხალისეების ჩართულობა კოვიდ - 19 პანდემიის გამოწვევების საპასუხოდ საქართველოში“ შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დაჯილდოვდა!

მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებისთვის მრავალწლიანი პაუზის შემდეგ, განხორციელდა მოსწავლე - ახალგაზრდების წარგზავნა შემეცნებით ბანაკში. ახალგაზრდები ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, თრუსოს ხეობაში იმყოფებოდნენ. ბანაკში 20 ახალგაზრდა გახლდათ წარგზავნილი.

მერიის დაფინანსებით, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდულ პროექტში „გლობალური კრიზისების ფორუმი 2022“ პროექტის გამარჯვებულები, მარიტა გრიგოლაშვილი და ტატო დიასამიძე სტრასბურგში ევროინსტიტუტებში საგანამანათლებლო ვიზიტებით გაემგზავრებიან, რომელსაც ორგანიზებას ევროპული ცენტრი გაუწევს.

ზესტაფონის მერია აქტიურად თანამშრომლობს უშანგი ჩხეიძის სახელობის სახელმწიფო თეატრთან. ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში ერთობლივი პროექტი განხორციელდა. მერიამ უზრუნველყო ბილეთების შეძენა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მაყურებელთა რაოდენობა თეატრში.

ტურიზმი - 10 702,00 ლარი

ახალგაზრდული - 34 477,00 ლარი

განათლება - 43 125,00 ლარი.

ძეგლთა დაცვა - 2 000,00 ლარი

კულტურა - 58 387,00 ლარი (ასათვისებელია საახალწლო ღონისძიებების თანხები).

სპორტი - 67 327,00 ლარი.